საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-12/302
16/05/2019

302-შ-19-1-4-201905161852

სს „სილქნეტი"-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ სს „სილქნეტ"-მა კომისიის 2019 წლის 4 თებერვლის Nგ- 19-05/294 წერილის და 8 თებერვლის Nგ-1908/328 პასუხად 2019 წლის 24 აპრილის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/1872) წარმოადგინა გამოთხოვილი ინფორმაცია კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების და მათ მიერ მოხმარებული მომსახურებებისა და შემოსავლების შესახებ და მოითხოვა აღნიშნული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის პირველი ნაწილის, ასევე „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომერციული საიდუმლოება ეს არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

კომისიამ განიხილა სს"სილქნეტის" მოთხოვნა, რის შედეგადაც გამოიკვეთა კომპანიის მხრიდან მოთხოვნის დაზუსტების აუცილებლობა. კერძოდ, ბუნდოვანი იყო თუ წარმოდგენილი მონაცემების ერთობლიობიდან, რომელ ნაწილს მიიჩნევადა კომპანია კომერციულ საიდუმლოებად. კომისიამ მიმართა წერილით, რომ კომპანიას დაეზუსტებინა მოთხოვნა და წარმოედგინა შესაბამისი დასაბუთება. მიმდინარე წლის 13 მაისს კომპანიამ კომისიაში წარმოადგინა წერილი, რომლითაც იგი ითხოვს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციიდან წინასწარი გადახდის და შემდგომი გადახდის აბონენტების რაოდენობის, მათ მიერ მოხმარებული მომსახურებების რაოდენობის და შესაბამისად ამ მომსახურებების ფარგლებში დაგენერირებული შემოსავლების კომერციულ საიდუმლოებად ცნობას. თუმცა აღნიშნული მოთხოვნა კომპანიის წარმომადგენელმა საჯარო სხდომაზე დააზუსტა და აღნიშნა, რომ ითხოვს არა გადახდის ტიპის

მიხედვით ჩაშლილი მონაცემების, არამედ ერთიანად ყველა გადახდის ტიპის აბონენტების მონაცემების კომერციული საიდუმლოებად ცნობას.

კომისია აღნიშნავს, რომ კონსოლიდირებული ტენდერი არის სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ტენდერი, სადაც მომსახურების პირობები და ტარიფები დადგენილია ტენდერის გამომცხადებლის მიერ, ხოლო კომპანია უბრალოდ მონაწილეობას იღებს აღნიშნულ ტენდერში. ამასთან, ტენდერის მოთხოვნებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მონაწილე კომპანიების მიერ წარდგენილ შეთავაზებაზე უკეთესი შეთავაზება არ უნდა იყოს ბაზარზე. მოთხოვნები, ასევე, ზღუდავს კონკურენტის მიერ განსხვავებული ფასების შეთავაზების შესაძლებლობებს და ვადებს. შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში არსებული ტარიფები და მომსახურებები არ წარმოადგენს კომერციული ფასეულობის მქონე გეგმას, ან ფორმულას, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციას, რომელიც გამოყენებულ იქნა საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას, ვინაიდან ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი ფასები ისედაც საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამასთან, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების პირობები და მონაცემები შესაძლებელია გახდეს კომისიის მხრიდან საჯარო განხილვის საგანი მიმწოდებელი კომპანიების მიერ მათზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების შესწავლის კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის, და "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე" კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილების მე-19 მუხლის მე–4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არ დაკმაყოფილდეს სს "სილქნეტის" 2019 წლის 24 აპრილის (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/1772) და 2019 წლის 13 მაისის (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/2186) წერილებით წარმოდგენილი კონსოლიდირებული ტენდერის შესახებ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნა;

2. სს"სილქნეტის" მიერ 2019 წლის 24 აპრილის წერილის (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/1772) დანართით და შემდგომ 2019 წლის 13 მაისის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-6/2186) კომისიაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია კონსოლიდირებული ტენდერის შესახებ ცნობილი იქნას ღიად ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ, თუ სს „სილქნეტმა" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომისიას;

3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 31–ე მუხლის მე–2 ნაწილის შესაბამისად, სათანადო წესით შესაბამის რეესტრში შეტანა (ნ. ჯავახიძე);

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების სს“სილქნეტისთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);

5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი დამოწმებული ასლის სს“სილქნეტისთვის“ ჩაბარების დღიდან;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ო.ვოტ).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი